

## წინასიტყვაობა

რუსთველოლოგია მეცნიერების იმ მცირერიცხოვან დარგთა რიგს ეკუთვნის, რომელთაც სპეციალური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია აქვთ.

1957 წელს გამოვიდა ცნობილი რუსთველოლოგის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის გაიოზ იმედაშვილის ნაშრომი „რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712-1956 წლები“; ეს ტომი, რომლის მომზადებაზეც იგი მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა, დიდი ფორმატის 950 გვერდიანი „მონუმენტური ნაშრომია“ (ალ. ბარამიძე), რომელიც ქართულ და უცხო ენებზე არსებული 2481 დიდი თუმცირე გამოკვლევისა და ინფორმაციის ანოტირებულ ბიბლიოგრაფიას წარმოადგენს.

გაიოზ იმედაშვილმა წინასიტყვაობაში განსაზღვრა რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენისა და დამუშავების პრინციპები, წიგნის შექმნის ძირითადი მიზანდასახულობა და ამოცანები: „არსებული ლიტერატურის შედგენილობისა და სპეციალური კვლევა-ძიების წარმოებისათვის აუცილებელი იყო რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენა. მისი ვარკვეული მიზნით დალაგება, რაც მთლიანობაში წარმოგვიდგენდა რუსთველოლოგიური აზრის განვითარების სურათსაც. ბუნებრივია, ასეთ წიგნში - რუსთველოლოგიის ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში გამოხატულება უპოვოს „ვეფხისტყაოსანთან“ და რუსთველის სახელთან დაკავშირებულმა ყოველგვარი ხასიათის მასალამ, რაც კი რაიმე თეატრალურ ხასიათის მის შესწავლას უწყობს ხელს. ეს კი ნიშნავს რუსთველოლოგიური ლიტერატურის სრული ბიბლიოგრაფიის შედგენას, რომელშიაც გამოხატულებას იპოვიდა ყოველგვარ მნიშვნელოვანთან ერთად თითქმის არამნიშვნელოვანი მასალაც, ზოგჯერ ქრონიკული ცნობაც კი: როგორც მონოგრაფიული ნაშრომი რუსთველოლოგიის ცალკეულ პრობლემაზე, აგრეთვე, ვთქვათ, საგაზეთო ცნობაც... წიგნის ძირითადი მიზანია რუსთველოლოგიური, კონკრეტული ინტერესი. მან დაინტერესებულ პირს უნდა მიანოდოს მისთვის საჭირო საკითხის მიხედვით არსებული ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია. დაინტერესებულმა მკითხველმა ყოველ ცალკეულ სათაურზე უნდა მიიღოს ზოგადი დახასიათება, რითაც შესძლებს წინასწარ შეიმუშაოს წარმოდგენა მისთვის სასურველ საკითხზე არსებული ლიტერატურის შესახებ და ზოგადად გაერკვეს მის ღირებულებაში. წიგნმა მთლიანად უნდა ასახოს მთელი რუსთველოლოგიური მუშაობა ძირითად გამოვლინებაში, ძირითად შეხედულებათა განვითარების სურათი, რითაც არის უმთავრესად ნაკარნახევი მისი ანოტირებული შედგენილობა“ (გაიოზ იმედაშვილი. რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712-1956 წლები, გვ. VIII-IX).

გ. იმედაშვილის შრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვანესი ღირსება ის არის, რომ ყოველი ბიბლიოგრაფიული ერთეული ავტორმა დაამუშავა de visu-ს პრინციპით: მას წიგნში არ შეუტანია არც ერთი ისეთი მასალა, რომელიც უშუალოდ არ ეკუთვნოდა საკუთარი თვალთ ნანახი და პირადად შესწავლილი - ამ თვალსაზრისითაც მან გიგანტური შრომა გასწია. სირთულეს ისიც ქმნიდა, რომ არ არსებობდა და დღესაც არ არსებობს რუსთველოლოგიური ლიტერატურის სრულად შემცველი ბიბლიოთეკა.

1956 წლის შემდეგ, 45 წლის განმავლობაში შეიქმნა და დაგროვდა უმდიდრესი რუსთველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურა, რაც დაინტერესებულ პირთათვის ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის. ამდენად, აუცილებელია რუსთველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის ანოტირებული, შესაძლებლობისამებრ, სრული ბიბლიოგრაფიის შედგენა და გამოქვეყნება, რის საჭიროებაც დიდი ხანია იგრძნობა, მაგრამ მუშაობის ვაგრძელება, სამუნებაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ვერ მოხერხდა.

2000 წლის დამდეგს საქართველოს UNESCO-ს საქმეთა ეროვნულმა კომისიამ, მისმა გენერალურმა მდიანამა ბ-მა პეტრე მეტრეველმა იზუამდგომლა კაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საერთაშორისო ორგანიზაციის წინაშე მიზნობრივი დაფინანსების გამოსაყოფად პროექტისათვის „ვეელაფერი „ვეფხისტყაოსანზე“, რომელიც უნდა განხორციელდებინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს.

ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენის მიზნით ინსტიტუტში შეიქმნა სამეცნიერო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: პროექტის დირექტორი პროფესორი გურამ ბენაშვილი, რედაქტორები: პროფესორი ნესტან სულაია, წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი მარიამ კარბელაშვილი; საანოტაციო მასალის დამუშავება დაევალათ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს გიორგი არაბულს, მეცნიერ-თანამშრომლებს გალაქტიონ ლლონტს, ლია კარიჭაშვილს, ნინო მაქაძეს; საანოტაციო ჯგუფის ხელმძღვანელად გამოიყო გიორგი არაბული. რამდენიმე ანოტაცია შესრულებულია რუსულადან თურნაევს, მარიამ კარბელაშვილის, გოჩა კუჭუხიძის, ირინე ნაჭყეძისა, ნესტან სულაიას მიერ.

წინამდებარე ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაზე მუშაობისას იმ პრინციპებს დავეყარეთ, რომლებიც გაიზო იმედაშვილმა შეიმუშავა და მისი წიგნის წინასიტყვაობაშია ჩამოყალიბებული. წიგნში მასალა დალაგებულია ქრონოლოგიურად - წლების მიხედვით, ხოლო ყოველი წლისა - ანბანურად, ყოველი ანოტაციის ბოლოს მითითებულია შესრულებლის ინიციალი.

სამეცნიერო ჯგუფმა მოიძია ბიბლიოგრაფიული და ანოტირებული მასალა, რომელიც ინსტიტუტში და მის თანამშრომელთა პირად არქივებში ინახებოდა. 1957 წელს წიგნის გამოცემის შემდეგ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილებაში სამეცნიერო გეგმით რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენაზე მუშაობას კვლავ გაიზო იმედაშვილი განაგრძობდა, როგორც უდიდესი გამოცდილების მქონე პიროვნება: მან მოიძია და ანოტირება გაუკეთა 1712-1956 წწ. გამოქვეყნებულ იმ რუსთველოლოგიურ ლიტერატურას, რომელიც 1957 წელს გამოცემულ წიგნში ვერ მოხვდა იმის გამო, რომ თავის დროზე ყველა მათგანის მოსაპოვებლად ხელი ვერ მიუწვდებოდა, თუმცა მათი არსებობა იცოდა; 1957-65 წლებში გამოქვეყნებული რუსთველოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, რომელთაგან ნაწილი იყო ანოტირებული, აღმოჩნდა გაიზო იმედაშვილის პირად არქივშიც. ლიტერატურის ინსტიტუტში, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის არქივში, დაცული იყო რომან მიმინოშვილის, სარგის ცაიშვილისა და რობერტ თაყაიურის მიერ შედგენილი ანოტირებული ბიბლიოგრაფიები 1956-1965 წლებში გამოქვეყნებული რუსთველოლოგიური ლიტერატურისა“.

სამუშაო პროექტის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ნაშრომები:

1. შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, ლიტერატურის მოკლე სარეკომენდაციო სია 1712-1965 წწ., შემდგენელ-ბიბლიოგრაფი ნუცა ახვლედიანი, ქუთაისი, 1965. 2. სოლ. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბექდვის ისტორიიდან, I-II ტ., საბ წიგნად, თბ. 1966-1975 წწ. 3. გ. მქიქაძე, ძველი ქართული მწერლობის ბიბლიოგრაფია, II, 1921-1965 წწ. თბ., 1968. 4. А. М. Бабаян, Шота Руставели. Библиографический справочник. 1712-1970 гг. М., 1975. 5. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I-IV, რედაქტორი ლევან მენაბდე, თბ., 1976, 1978, 1988, 1985. 6. „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები. ბიბლიოგრაფიული საძიებელი. რედაქტორი ლევან მენაბდე. თბ., 1992.

ზემოთ ჩამოთვლილი მასალის ერთმანეთთან შეჯერების შემდეგ გიორგი არაბულმა შეადგინა დასამუშავებელი ლიტერატურის ნუსხა. ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით წინამდებარე ტომში შევიდა იმ ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რომელიც 1966 წლამდე, რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო თარიღამდე იყო გამოქვეყნებული.

სამუშაო ჯგუფის ხელთ პქონდა შემდეგი მასალა: გ. იმედაშვილის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია 1957-1965 წწ. გამოქვეყნებული რუსთველოლოგიური ლიტერატურისა - 1093 ერთეული, რომელთაგან 89 იყო ანოტირებული; მის მიერვე შედგენილი ბიბლიოგრაფია 1827-1956 წლებში გამოქვეყნებული რუსთველოლოგიური ლიტერატურისა-200 ერთეული, რომელთაგან 46 იყო ანოტირებული; ს. ცაიშვილისა და რ. მიმინოშვილის მიერ 1956-1962 წლებში გამოქვეყნებული ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია - 300 ერთეული; რობერტ თაყაიურის მიერ 1961-1965 წლების პერიოდიკაში გამოქვეყნებული ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია - 150 ერთეული; ბ. დარჩიას მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია 1961-1965 წლებში გამოქვეყნებული რუსთველოლოგიური ლიტერატურისა - 519 ერთეული.

წინამდებარე ნიგნი - რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებულ-ლიბლოგრაფია (1957-1965 წლები) - შედგება ორი ნაწილისგან: პირველი ნაწილი წარმოადგენს 1957-1965 წლებში გამოცემული რუსთველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის ანოტირებულ ბიბლიოგრაფიას; ამ ტომში გაგრძელდა გაიოზ იმედაშვილის ნიგნის ბიბლიოგრაფიული მასალის ნუმერაცია. მეორე ნაწილი - Addenda- დამატებაა და იგი მოიცავს 1712-1956 წლების იმ რუსთველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის ანოტირებულ ბიბლიოგრაფიას, რომელიც სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ მოხვდა გაიოზ იმედაშვილის მიერ გამოცემულ ნიგნში<sup>1</sup>.

1957-1965 წლების რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენამ გამოკვეთა პრობლემათიკის კვლევის ის ტენდენციები, რომლებითაც ხასიათდება ეს პერიოდი. ნათლად წარმოჩნდა როგორც პროფესიონალ რუსთველოლოგთა, ასევე შოთა რუსთველის პიროვნებითა და მისი შემოქმედებით დაინტერესებულ პირთა ნაღვანის მრავალფეროვნება:

1. შოთა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილებამ დაარსების დღიდან (1957 წ.) მიზნად დაისახა „ეფეხისტყაოსნის“ ხელნაწერებისა და გამოცემების შესწავლა, რისი შედეგიც იყო განყოფილების მიერ მომზადებული „ეფეხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტების ოთხტომეულისა და „ეფეხისტყაოსნის“ გამოცემათა ვარიანტების ერთი ტომის მომზადება და გამოცემა.

2. ქვეყნდებოდა პრობლემის სხვადასხვა რუსთველოლოგიურ პრობლემებზე. განსაკუთრებით აქტუალური გახდა შოთა რუსთველის ბიოგრაფიის კვლევა; არასაკმარისი სტიმული მისცა 1960 წელს იურუსალიმის ჯვარის მონასტერში აკად. აკაკი შანიძის, აკად. გიორგი წერეთლისა და პოეტ-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის სამეცნიერო ექსპედიციამ, როდესაც ხელახლა გამოჩნდა შოთა რუსთველის ფრესკა ნარნერიოთურთ. ცხადია, ამან დიდი გამოცოცხლება გამოიწვია სამეცნიერო წრეებში და საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, რის შედეგიც იყო რუსთველის სახელის უჩვეულო პოპულარობა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც; შესრულდა „ეფეხისტყაოსნის“ რამდენიმე ახალი თარგმანი იმ ენებზე, რომლებზეც მანამდე იგი თარგმნილი არ იყო.

3. ამ პერიოდში გამოიკვეთა რუსთველის ბიოგრაფიის, პოემის კოდიკოლოგიურ-ტიქსტოლოგიური საკითხების, მხატვრული სამყაროს, ესთეტიკისა და მსოფლმხედველობრივი პრობლემათიკის ინტენსიური კვლევის ტენდენცია.

4. პრესაში გამოქვეყნდა მთავრობის დადგენილება 1966 წელს შოთა რუსთველის დაბადებიდან 800 წლისთავის იუბილეს აღნიშვნის შესახებ და მასთან დაკავშირებით იმატა სხვადასხვა ხასიათის მეცნიერულმა შრომებმა.

ნიგნს ერთვის რუსთველოლოგიური შრომების ავტორთა, ანოტირებულ დასახელებულ პირთა და საგნობრივი საძიებლები, შედგენილი იმავე პრინციპების მიხედვით, როგორც გაიოზ იმედაშვილის 1957 წლის გამოცემაშია.

საეტიკოდ რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას საგნობრივი საძიებლის შესახებ. მთელი ეს გრანდიოზული მასალა, რომელიც ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაშია თავმოყრილი, გამოუსადეგარი იქნებოდა, რომ არა ის ყოველსაშუალო ანალიტიკური საძიებელი, რომელიც გაიოზ იმედაშვილმა შეიმუშავა: იგი ფაქტობრივად რუსთველოლოგიურ პრობლემათა კლასიფიკაციის სქემაა. ეს საძიებელი დიდი ცოდნის საფუძველზე გამომუშავებული ლოგიკური განზოგადების შედეგია და მისი გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია: წინამდებარე გამოცემაში იგი უცვლელადაა გადმოტანილი და ნათლად ასახავს 1957-1965 წლებში რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში არსებული ვითარების სურათს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Addenda-ში მოთავსებულ ყოველ ანოტირებას აქვს ორმაგი ნომერი: პირველი რიგითია, მეორე კი აგრძელებს იმედაშვილის ნიგნში დაბეჭდილი შესაბამისი წლის მასალის ნუმერაციას; მაგალითად, ვრიგოლ რობაქიძის „რუსთველის მსოფლიო მზერა“ დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს“ 1920 წლის რამდენიმე ნომერში; მის ანოტირებას ახლავს პირველი ტომის შესაბამისი წლის ბოლო ნომრის მითითება, რომელსაც დაეურთო ინდექსი (42-995ბ).

<sup>2</sup> ამ ნიგნისთვის დართულ საგნობრივ საძიებელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: რუბრიკაში „ეფეხისტყაოსნის ტექსტის კრედიტი რედაქციის გამოცემანი (ჩანართ-დანართი სტროფებით)“ შევითქვით „ეფეხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები“, გამოცემული ოთხ ნაკვეთად; რუბრიკაში „ეფეხისტყაოსნის სრული თარგმანები“ პირველ ტომში ვნახ, რომელზეც ითარგმნა ეფეხისტყაოსანი, მის უძველეს ქართული ალუბატური ასო-ნიშანი (ა-ჰ); 1957-1965 წწ. პოემა რვა სხვა ენაზეც ითარგმნა და საძიებელში შესაბამისად გაავრცელეთ ანბანური

თავისი კაპიტალური ნაშრომის წინასიტყვაობაში გაიოზ იმედაშვილმა დასვა ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი: 1. რუსთველოლოგიური ლიტერატურის სპეციალური ბიბლიოთეკის შექმნის აუცილებლობისა და 2. სპეციალური სამეცნიერო რუსთველოლოგიური პერიოდული ორგანოს დაარსების შესახებ. დასმულ საკითხთან ერთი ნაწილობრივ გადაწყდა: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა საშვილიშვილო საქმეს ჩაუყარა საფუძველი და გამოსცა სპეციალური სამეცნიერო შრომების კრებული „შოთა რუსთველი“ (I, თბ., 2000), რომელიც ჯერჯერობით ორ წელიწადში ერთხელ გამოიცემა; მეორე ტომიდან მას ენოდება „რუსთველოლოგია“.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეს წიგნი უნაკლოა და არ გამოგვჩნა რაიმე მასალა: საქმისთვის სასარგებლო ყოველ შენიშვნას მადლობით მივიღებთ და დამატებით მასალას უთუოდ დაეურთავთ მომდევნო ტომებს, რომელთა უახლოეს მომავალში გამოცემის იმედს არ ეკარგავთ`.

დასასრულ, ჩვენი გულითადი მადლობა ეკუთვნით ქ-ნ ა ნ ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ს ა და ბ-ნ კ ო ბ ა ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ს , რომელთაც წიგნის მომზადებისას გაიოზ იმედაშვილის პირადი არქივით სარგებლობის ნება დაგვრთეს; ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ბ ო რ ი ს და რ - ჩ ი ა ს , რომელმაც კოლექციალური თანადგომით დაგვითმო მის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია სარგებლობისთვის.

რაც მთავარია, ჩვენს განსაკუთრებით სასიამოვნო და საპატიო მოვალეობად მიგვაჩნია გულწრფელი მადლობა მოვახსენოთ UNESCO-ს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საერთაშორისო ორგანიზაციას და პირადად UNESCO-ს საქართველოს საქმეთა ეროვნული კომისიის გენერალურ მდივანს ბ-ნ პ ე ტ რ ე მ ე ტ რ ე ვ ე ლ ს , რომელთა ხელშეწყობის გარეშე ეს წიგნი ვერ გამოიცემოდა.

**მარიამ კარბელაშვილი**  
**ნესტან სულავა**